



## სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

29 მაისი 2026



N 362/ს

### ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

**ქალაქ რუსთავში სს „რუსთავის აზოტი“-ს ქიმიური საწარმოს ექსპლუატაციის პირობის ცვლილებაზე (თხევადი სასუქის – კარბამიდისა და ამონიუმის გვარჯილას წყალხსნარის საამქროს მოწყობა) სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ**

სს „რუსთავის აზოტი“-ს მიერ, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ (შემდგომ – კოდექსი) შესაბამისად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული საქმიანობის ექსპლუატაციის პირობის ცვლილების შესახებ გარემოზე ზემოქმედების შეფასების (შემდგომ – გზშ) ანგარიშის წარდგენის საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში (შემდგომ – სააგენტო), კოდექსის მე-5 მუხლის მე-12 ნაწილის საფუძველზე, წარმოდგენილი იქნა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული საქმიანობის ექსპლუატაციის პირობის ცვლილებაზე სკრინინგის განცხადება.

2021 წლის 19 თებერვალს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გამოცემულია „ქ. რუსთავში, სს „რუსთავის აზოტის“ ქიმიური საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე (წარმადობის გაზრდა; სახიფათო ნარჩენების ინსინერაცია; ნარჩენების აღდგენა, გარდა არასახიფათო ნარჩენების წინასწარი დამუშავებისა; სახიფათო ნარჩენების წინასწარი დამუშავება; 10 ტონაზე მეტი სახიფათო ნარჩენის დროებითი შენახვის ობიექტის მოწყობა) გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“ №2-224 ბრძანება.

2023 წლის 18 აგვისტოს სააგენტოს მიერ გამოცემულია „ქ. რუსთავში, მშვიდობის ქ. №2-ში სს „რუსთავის აზოტის“ ქიმიური საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე (ბეტონის ქარხნის მოწყობა) სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ“ №418/ს ბრძანება, რომლის საფუძველზეც, დაგეგმილი ექსპლუატაციის პირობის ცვლილება გზშ-ს არ დაექვემდებარა.

2024 წლის 10 ოქტომბერს სააგენტოს მიერ გამოცემულია „ქ. რუსთავში, სს „რუსთავის აზოტის“ ქიმიური საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე (დაბალი სიმკვრივის ამონიუმის გვარჯილას გრანულაციის საწარმოო ხაზის მოწყობა და 10 ტონაზე მეტი სახიფათო ნარჩენების დროებითი შენახვის ობიექტის გაფართოება) სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ“ №581/ს ბრძანება, რომლის საფუძველზეც დაგეგმილი ექსპლუატაციის პირობის ცვლილება გზშ-ს არ დაექვემდებარა.

2025 წლის 23 სექტემბერს სააგენტოს მიერ გამოცემულია „ქ. რუსთავში, სს „რუსთავის აზოტის“ ქიმიური საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“ №541/ს ბრძანება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ქიმიური საწარმო განთავსებულია ქალაქ რუსთავში, სს „რუსთავის აზოტი“-ს საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე (ს/კ: 02.07.01.887; 02.07.01.414; 02.07.01.308; ჯამური ფართობი: 1 718 609 მ<sup>2</sup>). ქიმიურ საწარმოს გააჩნია ტექნიკური წყლის დამუშავების პროცესში წარმოქმნილი შლამის შემკრები უბანი, რომელიც მოწყობილია გარდაბნის მუნიციპალიტეტში, მდინარე მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, სს „რუსთავის აზოტი“-ს საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 81.14.08.122; ფართობი: 234 048 მ<sup>2</sup>).

სკრინინგის განცხადების მიხედვით, ქიმიური საწარმოს ტერიტორიას ესაზღვრება სხვადასხვა ფუნქციური დატვირთვის მქონე ობიექტები (შპს „ემენ ქემიკალ ჯორჯია“, შპს „ვირტუოზი“ და სხვა). ქიმიური საწარმოს ტერიტორიიდან დაახლოებით 400 მეტრის დაშორებით მდებარეობს მარის არხი (სამელიორაციო არხი), დაახლოებით 550 მეტრში – საავტომობილო გზა (გამარჯვება-რუსთავი-ჯანდარა), ხოლო დაახლოებით – 1 740 მეტრში უახლოესი დასახლებული პუნქტი (სოფელი თაზაქენდი).

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, სს „რუსთავის აზოტი“ გეგმავს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული საქმიანობის ექსპლუატაციის პირობის ცვლილებას, რაც არსებული ქიმიური საწარმოს ტერიტორიაზე თხევადი სასუქის – კარბამიდისა და ამონიუმს გვარჯილას წყალხსნარის (შემდგომ – კაგ) საამქროს მოწყობას გულისხმობს. კაგ-ის საამქროს მოწყობა დაგეგმილია ყოფილი კაპროლაქტამის საამქროს ტერიტორიის ნაწილზე, დაახლოებით 7 800 მ<sup>2</sup> ფართობზე. არსებული მდგომარეობით, აღნიშნულ ტერიტორიაზე კაპროლაქტამის საამქროს შენობა-ნაგებობების ძირითადი ნაწილი დემონტირებულია და მხოლოდ გოგირდმჟავას სარეზერვუარო პარკი და ერთსართულიანი შენობაა (ფართობი: 144 მ<sup>2</sup>) შემორჩენილი. აღნიშნულ შენობასა და გოგირდმჟავას სარეზერვუარო პარკს სარემონტო სამუშაოები ჩატარდება და კაგ-ის საამქროს მიზნებისთვის იქნება გამოყენებული.

სკრინინგის განცხადების თანახმად, კაგ-ის საამქროსთვის განკუთვნილი ტერიტორია აღჭურვილია ელექტრომომარაგების, წყალმომარაგების და ჩამდინარე წყლების არინების სისტემებით. კაგ-ის საამქროს ტერიტორიას უშუალოდ ემიჯნება სარკინიგზო ჩიხი ესტაკადით, რომელიც ნედლეულის მისაღებად და მზა პროდუქციის სარკინიგზო ვაგონ-ცისტერნებში ჩასატვირთად იქნება გამოყენებული. ამასთან, კაგ-ის საამქროს ტერიტორიის ჩრდილო-აღმოსავლეთით, დაახლოებით 30 მეტრის დაშორებით, გადის ტექნოლოგიური მილსადენების სისტემა, რომელიც ასევე კაგ-ის წარმოების ტექნოლოგიურ პროცესში ნედლეულის მისაწოდებლად იქნება გამოყენებული.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, კაგ-ის საამქროში გათვალისწინებულია შემდეგი ძირითადი და დამხმარე ინფრასტრუქტურის მოწყობა: საოპერატორო/მართვის შენობა; კარბამიდის ღია სასაწყობო მოედანი; ტექნოლოგიური მილსადენი; კარბამიდის მიმღები ბუნკერი და ლენტური ტრანსპორტიორი; ამონიუმის გვარჯილას განზავების ავზი; 4 ერთეული შემრევი რეაქტორი; მიწისქვეშა საცავი; შუალედური საცავი; სკრუბერი; 8 ერთეული მზა პროდუქციის რეზერვუარი; ავტოცისტერნებში ჩატვირთვის კვანძი; ტუმბოები და სხვა. ტექნოლოგიური დანადგარები (შემრევი რეაქტორები, სკრუბერი, ტუმბოები და სხვა) მსუბუქი კონსტრუქციის მქონე ფარდულის ტიპის ნაგებობებში იქნება განთავსებული.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, კაგ-ის წარმოებისათვის ნედლეულად გამოყენებული იქნება სს „რუსთავის აზოტი“-ს ქიმიური საწარმოს ტერიტორიაზე არსებული ამონიუმის გვარჯილას საამქროში წარმოებული ამონიუმის გვარჯილას თუთქი, რომელიც კაგ-ის საამქროს ტექნოლოგიური მილსადენის საშუალებით მიეწოდება. ნედლეულად ასევე გამოყენებული იქნება კარბამიდის გრანულები, რომლებიც კაგ-ის საამქროში რკინიგზის ვაგონებით, ბიგბეგებში დაფასოებული სახით შევა, ჯოჯგინა ამწის საშუალებით ჩამოიტვირთება და კარბამიდის სასაწყობო მოედანზე განთავსდება. გარდა ამისა, კაგ-ის

წარმოებისთვის ასევე გამოყენებული იქნება სს „რუსთავის აზოტი“-ს ქიმიურ საწარმოში წარმოებული ამიაკის წყალი და სხვა საწარმოებიდან შესყიდული ფოსფორმჟავა, რომელიც კაგ-ის საამქროში 1 ტონა ტევადობის პლასტმასის კონტეინერებით შევა.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, კაგ-ის წარმოების ტექნოლოგიური პროცესი დაფუძნებულია ამონიუმის გვარჯილას თუთქის განზავებაზე ამონიუმის გვარჯილას საამქროს ორთქლის კონდენსატში და აღნიშნულ წყალხსნარში კარბამიდის გრანულების გახსნაზე. მიღებული პროდუქცია იქნება ორი ტიპის: ზაფხულის კაგ – 32 (გაყინვის ტემპერატურა მინუს 2<sup>0</sup>C) და ზამთრის კაგ – 28 (გაყინვის ტემპერატურა მინუს 8<sup>0</sup>C). ამასთან, აღსანიშნავია, რომ მოთხოვნის შესაბამისად, კაგ შეიძლება დამზადდეს ამონიუმის სულფატის (გოგირდის) შემცველობითაც. კაგ-ის წარმოების ტექნოლოგიური პროცესის საწყის ეტაპზე ამონიუმის გვარჯილას საამქროს კმანეიტრალიზატორიდან გამოსული ამონიუმის გვარჯილას ხსნარი (კონცენტრაციით 89-90%, ტემპერატურით 150-155<sup>0</sup>C) ორ ნაკადად გაიყოფა, რომლის ერთი ნაკადი საბოლოო კმანეიტრალიზატორში ამონიუმის გვარჯილას საწარმოებლად მიემართება, ხოლო მეორე ნაკადი ხარჯშომის („FIR“) გავლით კაგ-ის საამქროს ამონიუმის გვარჯილას ხსნარის განზავების ავზს მიეწოდება. ამავე ავზში ხარჯშომის („FIR“) გავლით ამონიუმის გვარჯილას ორთქლის კონდენსატი დაემატება. ამონიუმის გვარჯილას საამქროდან კაგ-ის საამქრომდე გათვალისწინებული ტექნოლოგიური ხაზი ელექტროგამაცხელებლით, ტემპერატურის მუდმივი მონიტორინგის სისტემით და თბური იზოლაციით იქნება აღჭურვილი. ამონიუმის გვარჯილას ხსნარის განზავების ავზში, ტუმბოს მეშვეობით, ამონიუმის გვარჯილას ხსნარი 89%-დან 69-70%-მდე განზავდება. მიღებული ხსნარი (კონცენტრაცია 60-70%; ტემპერატურა 57-60<sup>0</sup>C), ტუმბოს საშუალებით, შემრევ რეაქტორებში გადაინაცვლებს, სადაც ლენტური ტრანსპორტორით ასევე კარბამიდის გრანულები ჩაიტვირთება. შემრევ რეაქტორებში ტექნოლოგიური პროცესი საშუალოდ 60-70<sup>0</sup>C ტემპერატურაზე განხორციელდება, ქიმიური დაშლის რეაქციის გარეშე. აღსანიშნავია, რომ ამონიუმის სულფატის (გოგირდის) შემცველობიანი კაგ-ის წარმოების შემთხვევაში, შემრევ რეაქტორებში აგრეთვე დაემატება ამონიუმის სულფატის 22-23%-იანი წყალხსნარი და ამონიუმის გვარჯილას გრანულები. ჩატვირთვის, გახსნის და დაცლის ციკლის ხანგრძლივობა 1 საათი იქნება. შემრევ რეაქტორებში მომზადებული ხსნარი თვითდინებით გადავა ვერტიკალურ მიწისქვეშა საცავში, საიდანაც ტუმბოს საშუალებით, ფილტრისა და თბომცველის გავლით სკრუბერს მიეწოდება. სკრუბერში ხსნარს დაემატება ფოსფორმჟავა, ხოლო ჭარბი მჟავის გასანიტრალეზად – ამიაკის წყალი. სკრუბერში ასევე გათვალისწინებულია შემრევი რეაქტორებიდან გამომავალი აირების გაწმენდა, რომლებიც სკრუბერს ქვედა ნაწილში კოლექტორის საშუალებით მიეწოდება, ხოლო გაწმენდილი აირი წვეთდამჭერის გავლით ვენტილატორით შეიწოვება და ატმოსფერულ ჰაერში სკრუბერის ზედა ნაწილიდან გაიფრქვევა. სკრუბერიდან მზა ხსნარი ტუმბოს საშუალებით და ფილტრის გავლით შუალედურ საცავში განთავსდება, საიდანაც ასევე ტუმბოს მეშვეობით მზა პროდუქციის რეზერვუარებს მიეწოდება. აღნიშნული რეზერვუარებიდან პროდუქცია ზედა ჩატვირთვის მოწყობილობით ვაგონცისტერნებში ან ავტოცისტერნებში გადავა.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, კაგ-ის საამქროს სამუშაო რეჟიმი წელიწადში 330 დღეს, დღეში 24-საათს შეადგენს, ხოლო წარმადობა – წელიწადში 148 500 ტონას (18,75 ტ/სთ, 450 ტ/დღ).

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, კაგ-ის საამქროს მოწყობა მასშტაბურ სამშენებლო სამუშაოებს არ საჭიროებს და აღნიშნული სამუშაოების ადგილმდებარეობისა და სპეციფიკის გათვალისწინებით, გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან დაკავშირებული არ იქნება.

სკრინინგის განცხადების თანახმად, კაგ-ის საამქროს ექსპლუატაციის ეტაპზე წყლის გამოყენება მოხდება სასმელ-სამეურნეო და საწარმოო/ტექნიკური დანიშნულებით, ქიმიური საწარმოს წყალმომარაგების ქსელიდან, შპს „რუსთავის წყალთან“ გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, კაგ-ის საამქროს ფუნქციონირების პროცესში საწარმოო ჩამდინარე წყლის წარმოქმნას ადგილი არ ექნება, ხოლო წარმოქმნილი სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლები ჩართულია ქალაქ რუსთავის ცენტრალურ საკანალიზაციო ქსელში, შპს „რუსთავის წყალთან“ გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ამჟამად, ქიმიური საწარმოს სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლების ბიოლოგიური გამწმენდი ნაგებობის ექსპლუატაციაში გაშვების სამუშაოები მიმდინარეობს, რომელთა დასრულების შემდეგ, სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლები სრულად გაიწმინდება და ქიმიური საწარმოს მიზნებისათვის იქნება გამოყენებული. რაც შეეხება სანიაღვრე წყლის მართვას, კაგ-ის საამქროს ექსპლუატაციის ეტაპზე სანიაღვრე წყლის პოტენციური დაბინძურების წყაროები არ იარსებებს და წარმოქმნილი სანიაღვრე წყლის დაბინძურებას ადგილი არ ექნება.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, კაგ-ის საამქროს ფუნქციონირების პროცესში ადგილი ექნება მავნე ნივთიერებების, კერძოდ, ამიაკის და შეწონილი ნაწილაკების (კარბამიდის მტვრის) გამოყოფას და ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევას. აღსანიშნავია, რომ კაგ-ის საამქროს ამოქმედების შემდგომ ქიმიური საწარმოს ტერიტორიაზე არსებულ ამიაკის გაფრქვევის წყაროებს მხოლოდ ერთი ამიაკის გაფრქვევის წყარო დაემატება. ამასთან, საგულისხმოა ის ფაქტი, რომ მიმდებარე 500-მეტრიანი ნორმირებული ზონის ფარგლებში არსებულ საწარმოებს ამიაკის გაფრქვევის წყაროები არ გააჩნია. დოკუმენტში, ქიმიურ საწარმოში არსებული ამიაკისა და შეწონილი ნაწილაკების (კარბამიდის მტვრის) გაფრქვევის წყაროების, ასევე მიმდებარედ არსებული შპს „ემენ ქემიკალ ჯორჯია“-ს საწარმოსთან მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედების გათვალისწინებით, წარმოდგენილია კაგ-ის საამქროს ექსპლუატაციის ეტაპზე ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება, იდენტიფიცირებულია მავნე ნივთიერებების გამოყოფისა და გაფრქვევის წყაროები, ასევე აღნიშნული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლები. გაბნევის გაანგარიშების შედეგებით, კაგ-ის საამქროს ფუნქციონირების პროცესში ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერების კონცენტრაცია 500-მეტრიანი ნორმირებულ საზღვარზე კანონმდებლობით დადგენილ ზღვრულად დასაშვებ ნორმებს არ აჭარბებს.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, კაგ-ის საამქროს ექსპლუატაციის ეტაპზე ხმაურის გავრცელების წყაროები ძირითადად სატუმბო მოწყობილობები იქნება. გარდა ამისა, ნედლეულის/პროდუქციის ტრანსპორტირებისთვის გათვალისწინებულია შიდა სარკინიგზო ხაზებზე და გზებზე სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობა, რაც ასევე ხმაურის გავრცელების წყაროა. კაგ-ის საამქროში წარმოდგენილი იქნება საშუალოდ 10-12 ერთეული ხმაურწარმომქმნელი დანადგარი, რომელთა ერთდროულად მუშაობის პირობებში წარმოქმნილი ხმაურის მაქსიმალური დონე 75 დბა-ს შეადგენს, ხოლო მიმდებარე ტერიტორიის ფარგლებში შექმნილი ხმაურის დონე საშუალოდ 85,0 დბა-ს ფარგლებშია. დოკუმენტში წარმოდგენილია კაგ-ის საამქროს ფუნქციონირების პროცესში მოსალოდნელი ხმაურის გაანგარიშება, რომელიც შესრულებულია უარესი სცენარით, ხმაურის წარმომქმნელი ყველა წყაროს ერთდროულად მუშაობის პირობებში და მხედველობაში არ არის მიღებული ტერიტორიაზე არსებული ხელოვნური ბარიერები, რაც წარმოქმნილი ხმაურის გავრცელებას ამცირებს. მიღებული შედეგებით, უახლოეს დასახლებულ პუნქტთან (სოფელი თაზაქენდი) მოსალოდნელი ხმაურის დონე 13 დბა-ს შეადგენს.

სკრინინგის განცხადების თანახმად, კაგ-ის საამქროს მოწყობის და ექსპლუატაციის ეტაპებზე წარმოქმნილი ნარჩენები კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმაში ასახული ნარჩენების ნუსხისაგან სახეობრივი შემადგენლობით განსხვავებული არ იქნება. ამასთან, აღსანიშნავია, რომ კაგ-ის წარმოების ტექნოლოგიური პროცესი უნარჩენოა. ქიმიური საწარმოს ფუნქციონირების პროცესში წარმოქმნილი ნარჩენების მართვა სააგენტოსთან შეთანხმებული კომპანიის ნარჩენების გეგმით განხორციელდება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, კუმულაციური ზემოქმედების რისკები დაკავშირებულია ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე, აკუსტიკურ ფონზე და სატრანსპორტო ნაკადებზე ზემოქმედებასთან. როგორც უკვე აღინიშნა, მიმდებარე 500-მეტრიანი ნორმირებული ზონის ფარგლებში არსებული საწარმოებიდან არცერთ საწარმოს ამიაკის გაფრქვევის წყაროები არ გააჩნია, ხოლო ქიმიური საწარმოს ტერიტორიაზე მოქმედ საამქროებში არსებულ ამიაკის გაფრქვევის წყაროებს მხოლოდ ერთი ამიაკის გაფრქვევის წყარო დაემატება კაგ-ის საამქროს სკრუბერიდან. ზემოაღნიშნულისა და გაბნევის გაანგარიშების შედეგების მიხედვით, კაგ-ის საამქროს ექსპლუატაციის ეტაპზე ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე კუმულაციური ზემოქმედების მნიშვნელოვან ცვლილებას ადგილი არ ექნება. ანალოგიურად შეიძლება ითქვას აკუსტიკურ ფონზე ზემოქმედებასთან დაკავშირებითაც. კერძოდ, ხმაურის უარესი სცენარით გაანგარიშების შედეგად დგინდება, რომ კაგ-ის საამქროს ფუნქციონირების პროცესში უახლოეს დასახლებულ პუნქტთან (სოფელი თაზაქენდი) მიღებული ხმაურის დონე დაბალია (13 დბა) და კუმულაციური ზემოქმედების გაზრდას არ უკავშირდება. რაც შეეხება სატრანსპორტო ნაკადებზე ზემოქმედებას, კაგ-ის საამქროში წარმოებული პროდუქციის ძირითადი ნაწილის ტრანსპორტირება დაგეგმილია სარკინიგზო და საავტომობილო ტრანსპორტით, რისთვისაც დღის განმავლობაში საშუალოდ 5 სატრანსპორტო ოპერაცია შესრულდება. აღსანიშნავია, რომ ქიმიური საწარმოს მოქმედი საამქროების მიერ წარმოებული მზა პროდუქციის ტრანსპორტირება უპირატესად სარკინიგზო ტრანსპორტით ხორციელდება. აღნიშნულის გათვალისწინებით, ახალი საამქროს ექსპლუატაციის ეტაპზე სატრანსპორტო ნაკადებზე კუმულაციური ზემოქმედების გაზრდას ადგილი არ იქნება.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, კაგ-ის საამქროს განთავსების ტერიტორია არ მდებარეობს არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, ასევე დაცული და ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორიების სიახლოვეს, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები. დაგეგმილი ექსპლუატაციის პირობის ცვლილება გათვალისწინებულია მაღალი ანთროპოგენური დატვირთვის მქონე ტერიტორიაზე არსებულ ქიმიურ საწარმოში და ტერიტორიის გაფართოებას/ახალი ტერიტორიის ათვისებას არ უკავშირდება.

კოდექსის მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და გადაიგზავნა რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიაში, საინფორმაციო დაფაზე განთავსების მიზნით. სკრინინგის განცხადების განხილვის ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე საზოგადოების მხრიდან სკრინინგის განცხადებით გათვალისწინებულ საქმიანობასთან დაკავშირებით (ექსპლუატაციის პირობის ცვლილება) წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში წარმოდგენილი არ ყოფილა.

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ექსპლუატაციის პირობის ცვლილების კოდექსით განსაზღვრული კრიტერიუმებით შეფასების მიხედვით, კოდექსის მე-5 მუხლის მე-12 ნაწილისა და მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის საფუძველზე,**

### **ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ ქალაქ რუსთავში სს „რუსთავის აზოტი“-ს ქიმიური საწარმოს ექსპლუატაციის პირობის ცვლილება (თხევადი სასუქის – კარბამიდისა და ამონიუმის გვარჯილას წყალხსნარის საამქროს მოწყობა) გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული საქმიანობის ექსპლუატაციის პირობის ცვლილების შესახებ **გზმ-ის ანგარიშის წარდგენას არ საჭიროებს.**
2. სს „რუსთავის აზოტი“ ვალდებულია, საქმიანობა განახორციელოს 2021 წლის 19 თებერვალს და 2025 წლის 23 სექტემბერს გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებებით (ბრძანება №2-224 და

541/ს) განსაზღვრული პირობების შესაბამისად, წარმოდგენილი ექსპლუატაციის პირობის ცვლილების გათვალისწინებით.

3. სს „რუსთავის აზოტი“ ვალდებულია, ექსპლუატაციის პირობის ცვლილებამდე, წარმოდგენილი ექსპლუატაციის პირობის ცვლილების გათვალისწინებით, უზრუნველყოს:

ა) განახლებული ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტის სააგენტოსთან შეთანხმება.

ბ) განახლებული ატმოსფერული ჰაერის მონიტორინგის გეგმის სააგენტოსთან შეთანხმება, სადაც ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის წყაროებზე მონიტორინგის კანონმდებლობით განსაზღვრულ ვალდებულებებთან ერთად (უწყვეტი ინსტრუმენტული მონიტორინგის სისტემის გათვალისწინებით), ასევე გათვალისწინებული იქნება ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების რაოდენობის განსაზღვრის ინსტრუმენტული მონიტორინგის საკითხები, ქიმიური საწარმოდან 500-მეტრიანი ნორმირებული ზონის საზღვარზე. მონიტორინგის გეგმაში შეტანილი უნდა იყოს შერჩეული მეთოდის/ხელსაწყოების შესახებ ინფორმაცია და ინსტრუმენტული მონიტორინგის ადგილმდებარეობის X,Y კოორდინატები. მონიტორინგის გეგმაში ასევე გათვალისწინებული უნდა იყოს ინსტრუმენტული მონიტორინგის განხორციელება მავნე ნივთიერება აზოტის დიოქსიდ(NOx)-ზე და მტვერ(TSP)-ზე კვარტალში ერთხელ ქიმიური საწარმოს მაქსიმალური დატვირთვის პირობებში (ტექნოლოგიური პროცესის მკაცრი კონტროლის მიხედვით) და შედეგების წელიწადში ერთხელ სააგენტოში წარმოდგენა.

4. სს „რუსთავის აზოტი“ ვალდებულია, ექსპლუატაციის ეტაპზე, წარმოდგენილი ექსპლუატაციის პირობის ცვლილების გათვალისწინებით, უზრუნველყოს:

ა) ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტით სააგენტოსთან შეთანხმებული ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გამოყოფისა და გაფრქვევის წყაროების, ასევე აირმტვერდამჭერი მოწყობილობების პარამეტრების დაცვა და შესაბამისად, ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების შესრულება.

ბ) სააგენტოსთან შეთანხმებული ატმოსფერული ჰაერის მონიტორინგის გეგმის შესრულება.

5. სს „რუსთავის აზოტი“-სთვის ზემოაღნიშნული პირობა წარმოადგენს 2021 წლის 19 თებერვალს და 2025 წლის 23 სექტემბერს გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებებით (ბრძანება №2-224 და 541/ს) განსაზღვრული პირობების განუყოფელ ნაწილს და მათი შესრულება სავალდებულოა.

6. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს სს „რუსთავის აზოტი“-ს.

7. ბრძანება ძალაში შევიდეს სს „რუსთავის აზოტი“-ს მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე.

8. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე.

9. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ელენე ლუბიანური



სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

<https://edocument.ge/mea/public/#/362-21-4-202605291923>

